

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლამარა გერგედავა

დონკიხოტური რემინისცენციები მეოცე საუკუნის
ქართულ ლიტერატურაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაციის მაცნე

თბილისი -2015

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლუარა სორდია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

ექსპერტები:

მარიამ მირესაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

ნონა კუპრეიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ოფიციალური რეცენზენტები:

როსტომ ჩხეიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერ-თანამშრომელი

მარინე ტურავა ფილოლოგიის დოქტორი,

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2015 წლის 13 საათზე სსიპ-სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.
მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 9, IV სართული, საპრეზენტაციო ოთახი. სადისერტაციო
საბჭოს მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **თამილა ზვიადაძე**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა

მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ განვითარების უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი გზა განვლო. იმის მიუხედავად, რომ იგი გასული საუკუნის მსოფლიო შემოქმედებითი პროცესების აქტიური თანამონაწილე და თანამდევია იყო, მაინც შეძლო დამოუკიდებლობის, თავისთავადობისა და ორიგინალური ჟღერადობის შენარჩუნება. როგორც ცნობილია, XX საუკუნის ლიტერატურულ მიმართულებებსა და მიმდინარეობებს-რეალიზმს, სიმბოლიზმს, იმპრესიონიზმს, ფუტურიზმს, ექსპრესიონიზმს, პოსტმოდერნიზმს ... მრავალწახნაგოვნება გამოარჩევთ, თუმცა, განსხვავებებთან ერთად, საერთო ნიშნული თვისებებიც დაეძგნებათ; უმთავრესია ის, რომ მათთვის არ არსებობს საზღვრები; შეუძლებელია აღნიშნული ეპოქის ხელოვანთა აზროვნების მოქცევა ერთი კულტურული ციკლის, ერთი კონკრეტული ეპოქის ან ერის ჩარჩოებში. ამდენად, დღესდღეობით, კვლავაც აქტუალურია სხვადასხვა კულტურული ეპოქის ურთიერთზეგავლენის, ურთიერთშეხმიანების პრობლემა, რომლის ქვაკუთხედს მაღალი ღირებულების მქონე ლიტერატურული ნაწარმოებები და „მარადიული“ პარადიგმული სახეები წარმოადგენენ. თვალი რომ გავადევნოთ XX საუკუნის ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობის გავრცელების პროცესს, დავინახავთ, რომ ცენტრიდან (ანუ, იმ ქვეყნიდან, საიდანაც იგი სათავეს იღებს) განვითარების კვალდაკვალ, მისი გეოგრაფიული და კულტურული არეალის გაფართოებასთან ერთად, ზოგჯერ, შესაძლოა, „სიმძიმის ცენტრმა“ გადაინაცვლოს, სხვა კულტურაში უფრო მრავალფეროვნად წარმოჩინდეს; თუმცა ყველა ეპოქაში უცვლელად დარჩება განვითარებული საზოგადოების მიერ აღიარებული, მარადიული ღირებულებების მატარებელი შემოქმედებითი ნიმუშები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ეპოქებსა და კულტურებზე. იმის მიუხედავად, რომ თითოეული შემოქმედი განსხვავებული ხელწერისა და კონცეფციის მატარებელია, სულიერების სფეროში მთელი სამყარო მაინც ერთიანი ჩანს; ამაში კი, „დიადი სახელებისა“ და მათი ნაწარმოებების წვლილი შეუფასებლად დიდია.

ქართული ლიტერატურა ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიო კულტურული სივრცის შემადგენელ ნაწილს. ქართულ-უცხოური ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა მკვლევრებმა: ნ. აგიაშვილმა, მ. კვესელავამ, ა.გაწერელიამ, დ. ლაშქარაძემ, ნ. ორლოვსკაიამ, შ.რევიშვილმა, ი.

კენჭოშვილმა, ლ. ხიხაძემ, ს. სიგუამ, ნ. ცხოვრებოვმა, დ. ფანჩულიძემ, თ. დოიაშვილმა, მ. მირესაშვილმა, ნ. გაფრინდაშვილმა, ლ. სორდია და სხვებმა. ქართულ სამეცნიერო სივრცეში მოიპოვება არაერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის, მისი განვითარების ეტაპების, გამორჩეული ნაწარმოებების მხატვრულ-ესთეტიკურ სისტემებთან დაკავშირებით, თუმცა შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ეროვნულ ლიტერატურაში მსოფლიო შედეგებად აღიარებული თხზულებებისა და „მარადიული“ მხატვრული სახეების რემინისცენციების, ტიპოლოგიური თანხვედრების გამოვლენის საკითხები.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს ესპანური რენესანსის უდიდესი წარმომადგენლის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას საკულტო რომანზე დაყრდნობით დონკიხოტური რემინისცენციების შესწავლა მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ, გ. ლეონიძის, კ. ლორთქიფანიძის, გ. დოჩანაშვილის, რ. მიშველამის, გ. ჩოხელის, ი. ლომოურის ნაწარმოებების მიხედვით, ზემოაღნიშნულთან მიმართებით, კვლევის პროცესში, დადგენილი იქნება ტიპოლოგიური თანხვედრები, მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, დონკიხოტური რემინისცენციების მაგალითები. აღნიშნული პრობლემა ქართულ სამეცნიერო სივრცეში ჯერ არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საკვლევი პრობლემის აქტუალობას.

პრობლემის შესწავლის ისტორია

მსოფლიო ლიტერატურა ეპოქისეული ცვლილებების კვალდაკვალ იცვლება, ვითარდება. პრობლემატიკა, თემატიკა, სტილი, ესთეტიკური პასაჟები და სხვ., თავისი მრავალფეროვანი გამოვლინებებით ამ ცვლილებებს ექვემდებარება, თუმცა არსებობს ჰუმანიზმის პრინციპებზე აღმოცენებული მარადიული ღირებულებები, რომელთა მატარებლები ყველა დროისა და ყველა ლიტერატურის პარადიგმულ სახეებად მოიაზრებიან. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია „მწუხარე სახის რაინდს“, რომლის ქმედებები და მისწრაფებები მომდევნო ეპოქების ლიტერატურებში დონკიხოტიზმთან, კეთილშობილ და განუხორციელებელ ოცნებებთან ასოცირდება. სერვანტესის ნაწარმოების შექმნის დროიდან ოთხი საუკუნის მანძილზე, „დონ კიხოტის“ ინვარიანტული წაკითხვის ორი ძირითადი ხაზი გამოიკვეთა: ერთნი - დონ კიხოტისა და სანჩო პანსას მოგზაურობისა და დიალოგების კომიკურ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას, ხოლო მეორენი ცდილობენ, ავტორისეული ირონიისა და რაინდული

რომანების პაროდირების მიღმა დაინახონ უფრო სერიოზული, ლამის ტრაგიკული სიტუაციები, რომლებიც მწუხარე სახის რაინდის მიმართ თანაგრძნობითა და თანაღმობით განაწყო მკითხველს.

დღესდღეობით მსოფლიო ლიტერატურა არაერთ ლიტერატურულ დონ კიხოტსა თუ დონ კიხოტის არქეტიპით ინსპირირებულ გმირებს იცნობს. მათ შორის, აღსანიშნავია ჰენრი ფილდინგის „დონ კიხოტი ინგლისში“ (1734); ჩარლზ დიკენსის მისტერ პიკვიკი („პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, 1836), ფიოდორ დოსტოევსკის თავადი მიშკინი („იდიოტი“, 1868—1869), ალფონს დოდეს ტარტარენი („ტარტარენ ტარასკონელი“, 1872); „დონ კიხოტს ქვედაბოლოთი“ უწოდებენ გუსტავ ფლობერის ემა ბოვარის („მადამ ბოვარი“, 1856) და სხვ. ერთი შეხედვით, დონ კიხოტის კომიკური იდეალიზმი მიუღებელი უნდა იყოს პრაგმატიზმით გაჯერებული ჩვენი საუკუნისა და ყოველგვარი სენტიმენტალური გამოვლინებების მიმართ გულგრილი თანამედროვე მკითხველისთვის. ამის მიუხედავად, სერვანტესის რომანი დღემდე აღძრავს დიამეტრალურად განსხვავებულ მსჯელობებსა და ხედვებს. გამოდის ახალი სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ვითარდება ფილოლოგიის სპეციალიზირებული დარგი - სერვანტისტიკა; ორმოცდაოთხ ქვეყანაში ფუნქციონირებს სერვანტესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც მკვლევრები ცდილობენ პასუხის გაცემას კითხვაზე, თუ ვინ არის დონ კიხოტი - ბრძენი თუ შეურაცხადი; რომანის მასალაზე დაყრდნობით ფილოსოფოსები აგებენ რთულ მსოფლმხედველობით კონსტრუქციებს; ფსიქოლოგები სწავლობენ ინტუიტიურ-ლოგიკური ექსტრავერტის ადამიანურ ტიპს, რომელსაც, მათი აზრით, დონ-კიხოტი განეკუთვნება. ცხადია, ზემოაღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ დონ კიხოტის თემა აქტუალური და ამოუწურავია; სერვანტესის გმირისადმი ინტერესი არ ცხრება; მისმა უკვდავმა რომანმა არაერთი ქვეყნის ეროვნულ ლიტერატურაში პოვა გამოძახილი, მათ შორის საქართველოშიც.

ქართული ლიტერატურისთვის განვითარების არცერთ ეტაპზე არ ყოფილა უცხო კაცთმოყვარეობის იდეა, რომელიც ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს, ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ შეინარჩუნა და ჩვენს თანამედროვეობამდე მოიტანა რუსთველისეული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ჰუმანისტური იდეები. ამიტომაც მისთვის მისაღები და ახლობელი აღმოჩნდა ესპანური რენესანსული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას, სიკეთისათვის უანგაროდ მებრძოლი გმირის სახე. XX საუკუნემ

ხელოვანთაგან მოითხოვა, რომ კიდევ ერთხელ წინა პლანზე წამოეწია პიროვნების ღირსების, თავისუფლებისა და რელიგიური მრწამსის, ზნეობის საკითხები. ამ ეპოქის ქართულმა ლიტერატურამ თვალნათლივ ცხადყო, რომ ჰუმანისტური იდეებისთვის ბრძოლა, განურჩევლად დროისა, ქვეყნებისა, რელიგიური მრწამსისა, მუდამ აქტუალურია. აღნიშნულ საკითხში ერთიანნი არიან მსოფლიო ლიტერატურის კორიფეები და, ამდენად, რენესანსული მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი - ჰუმანიზმის პრინციპი - დღესაც შემოქმედთა ყურადღების არეალში რჩება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XX საუკუნის ქართულ მწერლობაში შეიქმნა არაერთი მხატვრული სახე, რომელშიც მსოფლიო ლიტერატურის შედეგის, სერვანტესის დონ კიხოტის რემინისცენციებს (რემინისცენტია-გახსენება, მოგონება) ვხვდებით. ქართველი ლიტერატორების რემინისცენციები ზოგჯერ მიზანმიმართულია, ხანაც უნებლიე, თუმცა ორივე ფორმით ისინი ერთგვარად ეხმიანებიან დიდი ესპანელის მარადიულ იდეალებს; თავიანთი ნაწარმოებების იდეურ-ესთეტიკურ არსენალს ამდიდრებენ; ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული სიკეთის გაგებას მსოფლიო ლიტერატურულ შედეგთან კავშირით ამრავალფეროვნებენ.

დისერტაციის საგანი, მიზანი და ამოცანები

კვლევის საგანს წარმოადგენს მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ფიქსირებული დონკიხოტური რემინისცენციების შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი ესპანური რენესანსის უდიდესი წარმომადგენლის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას საკულტო რომან „დონ კიხოტის“ კონტექსტში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ამოცანად დავისახეთ:

- დასავლურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ტიპოლოგიური თანხვედრების დადგენა; მსგავს და განმასხვავებელ ნიშნებზე აქცენტირება;
- მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურიდან იმ ნაწარმოებების შერჩევა, რომლებშიც ფიქსირებულია დონკიხოტურ პრობლემებთან კავშირი;
- შესადარებელი ტექსტების ანალიზზე დაყრდნობით იმის წარმოჩენა, თუ როგორ ურთიერთშემოქმედებენ ეროვნული ლიტერატურები მსოფლიო მხატვრული აზროვნების კონტექსტში;

- კვლევისათვის საჭირო მეთოდოლოგიის შერჩევა; კომპარატივისტული, შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით ლიტერატურული მოვლენების, პერსონაჟების კლასიფიცირება; შედარება; დაჯგუფება; დასკვნების გამოტანა.

შედარებით-ტიპოლოგიურ მეთოდზე დაყრდნობით კ. ლორთქიფანიძის, გ. ლეონიძის, რ. მიშველაძის, გ. ჩოხელის ი. ლომოურისა და ჯ. ქარჩხაძის ნაწარმოებების გაანალიზებამ საშუალება მოგვცა, გადაგველახა ეროვნული ლიტერატურის საზღვრები და ფართო, კულტუროლოგიულ კონტექსტში გვეწარმოებინა ლიტერატურათა კავშირებისა და ინტერმედიალური პრობლემების კვლევა; ლიტერატურულ მოვლენებსა და პერსონაჟთა ხასიათებს შორის დაგვეძებნა ანალოგიები და განსხვავებები; წარმოგვეჩინა, თუ როგორ ახდენენ ზეგავლენას ეპოქისეული პარადიგმული სახეები და მათი შემქმნელი მწერლები სხვა ქვეყნის ეროვნულ ლიტერატურაზე.

მიგვაჩნია, რომ ეროვნული ლიტერატურებისთვის ჭეშმარიტების საზომს მსოფლიო მწერლობასთან მისი კავშირი წარმოადგენს. ამდენად, ქართული ლიტერატურის არსი, ერთი მხრივ, მსოფლიო კულტურასთან ზიარებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მისი თავისთავადობის, იდენტობის შენარჩუნებაში იკვეთება. ნაშრომში დონკიხოტური რემინისცენციები დამებნილია განსხვავებული მხატვრული სტილისა და ხელწერის მქონე მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში: გიორგი ლეონიძის - „ჩორეხი“; „ბუნბულა“; „ნიშარძეულის წყალი“; კონსტანტინე ლორთქიფანიძის - „გაუმარჯოს დონ კიხოტს“; ჯემალ ქარჩხაძის - „მარიანა“; გურამ დოჩანაშვილის - „მხიარული ბორცვი“; „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“; „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“; რევაზ მიშველაძის - „დიოგენი“; „ვინ დამემებს“; „61-11-25“; „უფასო პანსიონატი“; „ქველი“; გოდერძი ჩოხელის - „სულეთის კიდობანი“; ირაკლი ლომოურის - „შემთხვევა“. ასევე, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, ცალკე პარაგრაფად გამოგვეყო საკითხი: „ლიტერატურა და მკითხველები. ორი ბიბლიოთეკა, ორი მკითხველი“. ზემოაღნიშნულ საკითხებზე მუშაობისას გამოვიყენეთ უცხოური და ქართული წიგნადი ფონდი; ასევე, მოვიძიეთ გლობალურ ქსელებში არსებული ინფორმაცია.

კვლევის თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგია

ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, დისერტაციაში ძირითადად, კვლევისათვის შერჩეულია მხატვრული ტექსტის ანალიზის შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი, რომლითაც XX საუკუნის 80-იანი წლებიდან სარგებლობენ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც, ის ეფუძნება შესასწავლი ობიექტების/ლიტერატურული ნაწარმოებების სისტემათა დანაწევრებასა და დაჯგუფებას, განზოგადებული მოდელისა თუ ტიპის საშუალებით; ასევე, ტიპოლოგიური აღწერისა და ურთიერთშეპირისპირების შედეგებით, აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა, ლიტერატურათა ეროვნული ტიპების, ისტორიულად განპირობებული სტადიების, ესთეტიკური და იდეური პრინციპებით გაერთიანებული მხატვრული ნაწარმოებების, განვითარების ზოგიერთი მაგისტრალური ხაზი გამოგვევლინა. შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი საშუალებას გვაძლევს, ზოგადი და განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით დავალაგოთ ლიტერატურული მოვლენები, შევისწავლოთ ეროვნული ლიტერატურის ტენდენციები, მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

ზემოაღნიშნულთან ერთად, მივმართეთ დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდს, რომელიც მნიშვნელოვანია გასაანალიზებელ ტექსტში ავტორის მიერ შექმნილი ფარული შრეების - სიმბოლოების, ალუზიების, რემინისცენციების - ამოსაცნობად. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას კვლევის წყაროდ გამოვიყენეთ აღიარებული მეცნიერების უკვე კლასიკად მიჩნეული წიგნები, ასევე, ლიტერატურულ-კრიტიკული დისკურსები, რომლებიც ნაშრომის მიზანმიმართულ, ანალიტიკურ ორიენტაციას განაპირობებენ. ვგულისხმობთ რ. უელეკის, ო. უორენის, დ. დიურიშინის, ი. ლოტმანის, ა. ტიუპას, ვ. ნაბოკოვის, ნ. გაფრინდაშვილის, მ. მირესაშვილისა და სხვათა თეორიულ ნაშრომებს, რომელთა გათვალისწინებამ მოგვცა სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებობს ცალკეული წერილები, რომლებშიც განხილულია საკითხები მწერლობაში მიზანმიმართული და უნებლიე ციტატური რემინისცენციების ფორმების გამოვლენის შესახებ. წარმოდგენილი ნაშრომი მოკრძალებული, პირველი მცდელობაა ესპანელი მწერლის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას გენიალური ნაწარმოების მთავარი გმირის, დონ კიხოტის არქეტიპით ინსპირირებული სახეების, მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

დონკიხოტური რემინისცენციების შესაბამისი მაგალითების გამოვლენისა. სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ეროვნული მწერლობა, მასში ზოგადსაკაცობრიო, მარადიული, პარადიგმული სახეების წარმოჩენის შემთხვევაში, განზოგადებულ ტიპოლოგიურ ნიშნებს იძენს და ამ დროს ფერმკრთალდება ლიტერატურულ მიმდინარეობებს შორის სხვაობები.

სადისერტაციო ნაშრომში დამოწმებულ ნაწარმოებებში, სერვანტესის პერსონაჟთან მიმართებაში, მსგავსებებიც შეინიშნება და განსხვავებებიც; ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით შესწავლილია ლიტერატურული მოვლენები, შედარებულია პერსონაჟები, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება

წარმოდგენილი კვლევა XX საუკუნის ქართული მწერლობითა და კომპარატივისტული კვლევებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს, მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გაიაზრონ ზემოთ აღნიშნულ მწერალთა ნაწარმოებები, მოიძიონ რემინისცენციების მაგალითები. ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგებისა და კულტუროლოგიური საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის. მისი გამოყენება სპეცკურსების სახით მიზანშეწონილია უმაღლეს სასწავლებლებში, ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებისათვის, და, ასევე, მომავალი მეცნიერული კადრებისათვის, სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომებში, რომლებიც ეროვნული და საზღვარგარეთული ლიტერატურების ტიპოლოგიური ურთიერთკავშირების შესწავლაზე არიან ორიენტირებულები.

ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი „დონკიხოტური რემინისცენციები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ მოიცავს 201 გვერდს. იგი შედგება შესავლის, 2 ძირითადი თავის, 8 პარაგრაფისა და დასკვნისგან. ნაშრომს დართული აქვს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის სია (126 ერთეული).

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში გამოკვეთილია პრობლემის აქტუალობა, მიმოხილულია საკვლევე მასალის ზოგადი არსი, წარმოდგენილია საკითხის შესწავლის ისტორია, გამოკვეთილია დისერტაციის საგანი, მიზანი და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის თეორიული საფუძვლები, მეთოდოლოგია, დასაბუთებულია საკვლევე თემის სიახლე, ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.

I თავი

საკითხის შესწავლის ისტორია

დასავლეთ ევროპისა და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აღორძინების პერიოდის ესპანელ ჰუმანისტ მწერალს, პოეტსა და დრამატურგს, მიგელ დე სერვანტეს საავედრას (1547-1616), რომელსაც რომანმა „დონ კიხოტმა“ (1605-1615) საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. დასახელებულ ნაწარმოებს აღიარებდნენ ყველა დროისა და ეპოქის მოწინავე ადამიანები. ის კაცობრიობის ბიბლია და უპირველესი წიგნია (მიგელ დე უნამუნო), ყველაზე ორიგინალური ქმნილებაა, რომელიც ფოლკლორითა და ხალხური სიბრძნით გაჯერებულ ენაზე გამოძერწა ავტორმა (ანტონიო მაჩადო ი რუისი) და წარმოადგენს კულტურაში მომხდარი ახალი და არსებითი გადატრიალების კულმინაციას (ხოსე ორტეგა-ი-გასეტი). რომანის მთავარი პერსონაჟი ფილოსოფიურ-ჰუმანურია (ჰანს კარლ არტმანი), მთელი ესპანურენოვანი ლიტერატურა სერვანტესის სულითაა გაჟღენთილი (ჯონ მაქსველ კუტზეე), სერვანტესმა შექმნა პერსონაჟი, რომელიც აღემატება თავად ავტორს (ვლადიმერ ნაბოკოვი). მიიჩნევენ, რომ ეს ნაწარმოები XVI-XVII საუკუნეების ესპანეთის ცხოვრების ენციკლოპედიური ასახვაა, მისი გმირი დონ კიხოტი კი-საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი, მარადიული მხატვრული სახე, რომელსაც, ზოგჯერ თვით ავტორის პროტოტიპადაც კი თვლიან. ნაწარმოები მრავალი ლიტერატურული ჟანრისა და მხატვრული გამომსახველობითი საშუალების (იუმორის, სატირის, ბალადების, ანდაზების, პაროდის, რომანტიკის...) თანაარსებობის შემცველი ქმნილებაა. მკვლევრები, მკითხველები ერთხმად აღიარებენ, რომ მასში ფილოსოფიურად, იუმორისტულად და სატირულადაა გადმოცემული აზრები ცხოვრებაზე. სერვანტესის შემოქმედებით სხვადასხვა დროს დაინტერესდნენ: ფრიდრიხ შლეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელინგი, კრისტიან იოჰან ჰაინრიხ ჰაინე, ბესარიონ ბელინსკი, ივანე ტურგენევი, ფიოდორ დოსტოევსკი, ლევ ტოლსტოი, მილან კუნდერა, ჰანს კარლ არტმანი, ჯონ მაქსველ

კუტზე, დანიელ დეფო, ვლადიმერ ნაბოკოვი... მრავალთათვის მახვილგონიერი იდალგოს თემა მარადიულად ახლობელი და საინტერესო გახდა (ანხელ განივეტი, რამირო დე მასეტრუ, ანტონიო მაჩადო ი რუისი, მიგელ დე უნამუნო, ხოსე ორტეგა-ი-გასეტი). დონ კიხოტის თემას მსოფლიოს მრავალი ფერმწერი, მოქანდაკე, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი, რეჟისორი თუ არქიტექტორი შეეხო. მხატვრებმა: დიეგო ველასკესმა, ფრანსისკო გოიამ, ონორე დომიემ, გუსტავ დორემ, პაბლო პიკასომ, სალვადორ დალიმ და სხვებმა შექმნეს სერვანტესის პერსონაჟის უკვდავი სახე. დონ კიხოტის მუზეუმები დაარსდა: სიუდად-რეალში, ტობოსოში, მადრიდში, მოსკოვში (ვირტუალური მუზეუმი). რომანი „დონ კიხოტი“, მრავალჯერ (1900-იანი წლების დამდეგს, მსოფლიოს ყველა ენაზე, 700-მდე გამოცემა არსებობდა) დაიბეჭდა ესპანურ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, პორტუგალიურ, გერმანულ, შვედურ და სხვა ენებზე. ამჟამად, რაოდენობის მიხედვით ნაწარმოები მეორე ადგილზეა, ბიბლიის შემდეგ.

საქართველოში „დონ კიხოტმა“ მთარგმნელთა, გამომცემელთა, შემოქმედთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მიგელ დე სერვანტეს საავტოროს რომან „დონ კიხოტის“ მთავარ მოქმედ გმირს, დონ კიხოტს, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ცნობილი ქართველი მწერალი და პოეტი, ვაჟა-ფშაველა ახსენებს პუბლიცისტურ წერილში „სად არის პოეზია?“ (უთარილოა).

რუსულიდან ქართულ ენაზე რომანი მთლიანად თარგმნა ნიკოლოზ ავალიშვილმა. თავიდან პირველი 32 თავი იბეჭდებოდა 1869-1871 წლებში, ჟურნალ „მნათობში“, სრულყოფილი თარგმანი I ნაწილისა, 1951 წელს, II კი - 1953-ში გამოიცა. ავალიშვილისეული და სხვა მთარგმნელების მიერ შესრულებული ნაწარმოების თარგმანები შემდგომაც არაერთხელ მიიღო ქართველმა მკითხველმა, სხვადასხვა რედაქციებით (ა. სარაჯიშვილი (1906), მ. აბრამიშვილი (1929), ბ. ბრეგვაძე (1994)). პირველად, 1941 წელს, ქართველმა მწერალმა, ნიკოლოზ (ნიკა) აგიაშვილმა გამოსცა ბიოგრაფიული რომანი „სერვანტესის ცხოვრება“.

ქართული პრესა, საზოგადოებრივი აზრი 1941 წლიდან აქტიურად დაინტერესდა, სერვანტესის ნაწარმოებით. დონ კიხოტის სახე ასაზრდოებს ქართველ პოეტთა, მწერალთა შემოქმედებას. ქართული კინემატოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუში „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, 9 სერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი, გადაიღო რევაზ ჩხეიძემ 1989 წელს, ხოლო ქართველმა მწერალმა და რეჟისორმა, გოდერძი ჩოხელმა ფილმი „მიჯაჭვული რაინდები“ -1999 წელს.

დაუვიწყარი სახეები შექმნეს მსახიობებმა ვ. ჭაბუკიანმა და ნ. ანანიაშვილმა მინკუსის ბალეტში „დონ კიხოტი“, მხატვრებმა ს. ვირსალაძემ - ესკიზები მინკუსის ბალეტისთვის, რ. ადამიამ, ლ. ხარანაულმა. რომანი ერების ლიტერატურებს აახლოებს, აერთიანებს რემინისცენციებით, სახეებით. ის კულტურათა დიალოგის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, მკვლევრებს რეცეფციის, რემინისცენციების მაგალითების მოძიების საშუალებას გვაძლევს სათანადო მეთოდის, ჩვენს შემთხვევაში, შედარებით-ტიპოლოგიური მიდგომის მიხედვით. დონ კიხოტის ზეგავლენით ხალხთა ლიტერატურებში გაჩნდნენ ამ კეთილშობილი იდალგოს არქეტიპით ინსპირირებული სახეები. მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში მრავლადაა დონკიხოტური რემინისცენციების მაგალითები.

თავი II

დონ კიხოტის არქეტიპული მოდელის რეფლექსია მეოცე

საუკუნის ქართულ მწერლობაში

§1. უანგარო სიკეთისა და სინამდვილესთან შეუთავსებელი ოცნების პრობლემა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ მიხედვით („ჩორები“, „ბუნბულა“, „ნიშარძეულის წყალი“)

გიორგი ლეონიძის მოთხრობების კრებულ „ნატვრის ხეს“ (1962), ფართო მასშტაბების მომცველ, წარმოსახვის შედეგად შექმნილ მიკროსამყაროს უწოდებენ, მასში კონდენსირებულადაა ნაჩვენები ადამიანური ყოფისთვის თანამდევნი, მწვავე და საჭირბოროტო მოვლენები (ანაკოლეიშვილი).

ქართული სოფლის რეალისტური სურათების ფონზე მწერალი მეოცნებე პერსონაჟების ორ ჯგუფს გვიხატავს. ერთნი პირადი, მეორენი კი საზოგადო საქმეებისთვის თავდადებული, კეთილშობილური, მაგრამ აუხდენელი, სინამდვილესთან შეუთავსებელი ოცნებების განხორციელებისთვის იბრძვიან, ამით ისინი: ჩორები, ბუნბულა ფარსმანიშვილი და ქრისტეფორე თამარიძე („ჩორები“, „ბუნბულა“, „ნიშარძეულის წყალი“), მიგელ დე სერვანტეს საავედრას პერსონაჟ დონ კიხოტს ემსგავსებიან. მართალია, დასახელებული მოთხრობების კონცეპტუალური შინაარსი, მკითხველთა მიერ როგორც ეროვნული, ტრადიციული სათქმელი, ისეა აღქმული, მაგრამ შედარებისას უამრავი დეტალი იქცევა ყურადღებას. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რაც სამივე თხზულების პერსონაჟს აერთიანებს, არის ოცნება. ჩორები მისტირის წარსულს, ისწრაფვის თავისუფლებისკენ, უყვარს წიგნები, საუბარი სოფლის მღვდელთან და

ხეტიალი, რის გამოც წაწალოსანი შეარქვეს. ბუნბულას არ სურს ომი, მწერლის თქმით, გარემოებამ იგი, კაცობრიობის გულისთვის, ნაკაცარი გახადა. ქრისტეფორეს სურს ნიშარძეულს წყალი ჰქონდეს, მაგრამ ამ ნატვრას შეაღია მთელი ცხოვრება, საბოლოოდ, ერთმანეთს შერჩნენ ოცნება და ფორე. მაგალითების მოძიების, გაანალიზების შედეგად, გამოტანილია დასკვნა, რომ მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, კონკრეტულად, გ. ლეონიძის შემოქმედებაში, უცხოური ლიტერატურა, მისი კულტურული სამყარო, რემინისცენციის (უნებლიე ზეგავლენის) ჭრილში, ახლებურადაა გააზრებული.

მოცემულ პარაგრაფში, შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის კვალობაზე, საუბარია ლიტერატურული პარალელებისა და ანალოგიების, ზოგიერთი ელემენტის მსგავსება-განსხვავებაზე, ნაშრომში, პარალელებისათვის, მოხმობილია არისტოტელეს (ძვ.წ.384-ძვ.წ.322); ტომას ბრაუნის (1605-1681); ზიგმუნდ ფროიდის (1856-1939); კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) მოსაზრებები, გამოყენებულია მკვლევართა, ფსიქოლოგთა: დ. უზნაძის, ა. ნიკოლეიშვილის, გ. კალანდაძის, გ. ხერხეულიძის, ა. ბოჭორიშვილის ნააზრევნი, მითითებულია, რომ გიორგი ლეონიძეს იდეები, ეპოქისეულმა, საქართველოს ეროვნულმა ვითარებამ უკარნახა.

§2. კონსტანტინე ლორთქიფანიძის „გაუმარჯოს დონ კიხოტს“

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობაში „გაუმარჯოს დონ კიხოტს“, დონკიხოტური რემინისცენციების აღქმა სათაურიდანვე, მიგელ დე სერვანტეს საავტორო მარადიული პერსონაჟის ხსენებიდან იწყება. შეიძლება, ეს იყო მწერლის მიერ შეზღუდული ვიწრო თემატიკის, საბჭოთა იდეების არეალიდან გაქცევა და ზოგადსაკაცობრიო იდეალების მატარებელ პერსონაჟთან თავისებური შეხმიანების მაგალითი. მოთხრობამ თავის დროზე, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მწერლის შემოქმედებაზე არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობდა.

ავტორს სათაურიდანვე სურს, მიიპყროს მკითხველის ყურადღება, ზეგავლენა მოახდინოს მასზე, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური ტექსტის პერსონაჟის სახელის გამოყენებით, მან შეგნებულად მიმართა მიზანმიმართულ რემინისცენციას, ალბათ, თავისი პოზიციის გამოსაკვეთად. პერსონაჟ ჯაბა გურგენიძეს მიაჩნია, რომ ის ადამიანები აძლევენ ქვეყანას სიმტკიცესა და სილამაზეს, ვისაც სიყვარულის გამო შეუძლია წყალში გადავარდნა, მეგობრისთვის თავის გაწირვა, დაჩაგრულის თანადგომა. ასეთები ცხოვრებას დიდ კანონს უწერენ. ოტია მისი კონტრასტული სახეა, ამგვარ ქმედებებს

დონკიხოტობას უწოდებს. მართალია, ჯაბა სიკეთეს ქადაგებს, მაგრამ გასაჭირში მყოფი ოტია მიატოვა იმიტომ, რომ „დონკიხოტობის“, კეთილშობილების უარმყოფელია.

კ. ლორთქიფანიძე ნაწარმოებ „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ პერსონაჟის - ჯაბა გურგენიძის დახატვით ეხმიანება დონკიხოტობის თემას და ტიპოლოგიური თანხვედრების, ზოგიერთი ელემენტის საშუალებით ცდილობს, გაგვიძღვეს მთავარი სათქმელისაკენ. თხზულება სათაურიდანვე განგვაწყობს მსოფლიო ლიტერატურასთან კომუნიკაციისთვის, მიიჩნევენ, რომ (გ. გვერდწითელი, ო. პაჭკორია) ის პუბლიცისტური და პოლემიკური ხასიათისაა და მასში სერვანტესის რომანის გავლენის კვალი შეინიშნება.

§3. დონ კიხოტის ნიღაბი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „მარიანა“

ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „მარიანა“ (1974) დროითა და სივრცით, ლიტერატურული მიმდინარეობით დაშორებულ ნაწარმოებს უკავშირდება. გუცა-მარიანა და მიგელ დე სერვანტეს საავტორო რომან „დონ კიხოტის“ მთავარი მოქმედი გმირი, დონ კიხოტი, ტრაგიკული პიროვნებები არიან, მათი ქმედებები კი, ხშირ შემთხვევაში, ტრაგიკომიკური. კეთილშობილი გუცა (მარიანა) ისევე, როგორც დონ კიხოტი, შვებას კითხვაში პოულობს, ის დაინტერესებულია ვიქტორ ჰიუგოს პერსონაჟის მძიმე ბედით („კაცი, რომელიც იცინის“- 1869), გუინპლენს, უკუღმართი ეპოქის შვილს, კომპრაჩიკოსებმა სახეზე მუდმივი ღიმილი აღუბეჭდეს და შემოსავლის წყაროდ გაიხადეს, ადამიანები მის დანახვაზე იცინიან. თვითონ მარიანა მომხიბლავია, ლევან ქართველიშვილი „მშვენიერ ბავშვს“ უწოდებს, მაგრამ ისიც შემოსავლის წყაროდაა ქცეული, ქუჩაში დგას და ხილს ყიდის, უამრავ საყვედურს იღებს დედისგან, ვაჭრობაში გაუთვითცნობიერებელს, დასცინიან მეგობრები.

გუცა ეპოქით უკმაყოფილო, თავისუფლების მოყვარული, უნიადაგო მეოცნებეა, მას კითხვის სიყვარულმა, კონკრეტულად ერთმა წიგნმა და რეალობამ, რომელშიც თვითონ ცხოვრობს, უჩვენა, რომ აწმყო უხეშია და საჭიროა რაღაც შეიცვალოს. ის დონ კიხოტით მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ, მას არ მოსწონს თავისი თანამედროვე ეპოქა და ილუზიით შეპყრობილი, სახელგადარქმეული, რეალობას მოწყვეტილი, მეტამორფოზას განიცდის (გუცა-მარიანა-გუცა), მერე ისევ უბრუნდება საწყის მდგომარეობას, მსგავსად სენიორ კიხანო-დონ კიხოტი-ალონსო კიხანოსი. ჯემალ ქარჩხაძის მთავარი სათქმელია ის, რომ ილუზორული წარმოდგენების, რეალობას

მოწყვეტილი ადამიანების ოცნებები იმსხვერვა. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის უმთავრესი, შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი გავლენებს, რეცეფციებს, შედარებებს (პარალელებს, ანალოგიებს) სხვადასხვა ლიტერატურულ-კულტურული ეპოქების ტიპოლოგიურ მსგავსებებსა და კონტრასტებს შეისწავლის. მოცემულ პარაგრაფში დონკიხოტური, უნებლიე რემინისცენციების მაგალითები დაძებნილია მსგავსი, ზოგადი და განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით. ნაშრომში გამოყენებულია: ლ.ბრეგადის, ლ.მირცხულავას, დ.ნადირაშვილის, ი.პარანდოვსკის მოსაზრებები და მოცემულია ლიტერატურული პარალელები: ნ. ბარათაშვილის („ხმა იდუმალი“,1836), ვაჟა-ფშაველას („სინდისი,1913“), ჯ. ქარჩხაძის („ბიძაჩემი იონა“,1984) ნაწარმოებებიდან.

§4. დონკიხოტური სიკეთე და ოცნება- გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟების იდეალი
(„მხიარული ბორცვი“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“,
„ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“)

მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა მიერ შექმნილი დონ კიხოტის არქეტიპები ტიპოლოგიურად ემსგავსებიან მარადიულ სახეს. ისინი ისევე იბრძვიან თავიანთი ქვეყნის, საქართველოს გაკეთილშობილებისათვის, როგორც ესპანური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, სერვანტესის დონ კიხოტი ესპანეთისთვის.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „მხიარული ბორცვი“ (1969) დონკიხოტური ნიღბით გვევლინება მაჰმუდ აალი, სერვანტესის პერსონაჟივით ისიც კეთილია, მებრძოლია, მასაც შინაგანი თავისუფლება უბიძგებს მოქმედებისკენ, იბრძვის დამოუკიდებლობისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მაჰმუდ აალის პროტოტიპი არის მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია [როსტომ ჩხეიძე,2011].

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა "მხიარული ბორცვი" შევიდა ამერიკული გამომცემლობის Dალკეყ Aრცჰივე Pრესს-ის მიერ 2012 წელს გამოცემულ კრებულში "ჩონტემპორარყ გეორგიან ჟიგტიონ". წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

მოთხრობის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (1973) პერსონაჟი, ვასიკო კეჭერაძე (თავის ასისტენტ კლიმთან ერთად), დონკიხოტური სულისკვეთებისაა,

ის დონ კიხოტივით აქტიური მკითხველია და წარმოსახვითი ბიბლიოთეკის, „კარცერ-ლუქსის“, კითხვის საშუალებით სურს ადამიანები გახადოს უკეთესები, დონ კიხოტს მსგავსი ილუზია თავისმა რეალურმა ბიბლიოთეკამ შეუქმნა. ვასიკო კეჟერაძე წარმოსახვით (კლიმთან ერთად) მოგზაურობს, დონ კიხოტი - რეალურად (სანჩო პანსასთან ერთად).

მოთხრობის „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ (1980-1981) მთავარი მოქმედი გმირი ისევე, როგორც სერვანტესის პერსონაჟი დონ კიხოტი, თავისუფლებისკენ მიილტვის. ნაწარმოებში გამოყენებულია სიმბოლური სახეები: კარმენი - თავისუფლება და სიყვარული; ვატერ(პო)ლო - ცხოვრება; ნაპოლეონი -მტრული პოლიტიკური ძალა (იმიტომ, რომ ესპანეთს დაესხა თავს); ბეთჰოვენი - სიკეთე, მუსიკა - თავისუფლება და სიყვარული (რ. ჩხეიძე, 2011), აღდგენითი სამუშაოები - ადამიანთა გარდაქმნა, მეტამორფოზა. ბესამე კაროს მოგზაურობისკენ მუსიკის -დონ კიხოტს კი ლიტერატურის სიყვარულმა უბიძგა, ორივეს მოქმედებას ხელოვნება წარმართავს, ისინი თავისუფლების, სამართლიანობის, სიყვარულის მეხოტბეები არიან, ორივე პერსონაჟი „მოინათლა“, ერთი - რაინდად მეფუნდუკემ დალოცა, მეორე მუსიკოსად - ქრისტობალდ როხასმა, როცა მიუთითა, მუსიკალურ საკრავებს ხელი შეახეო. დონ კიხოტიცა და ბესამე კაროც ესპანეთში ცხოვრობენ. „დონ კიხოტი“ XVI საუკუნის ესპანეთის რეალისტურ სურათს ასახავს, „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოების“ სამოქმედო არეალიც XIX საუკუნის ესპანეთია, ალეგორიულად გააზრებული. ბესამე კარო დონკიხოტური სულისკვეთების ადამიანია, ის, ლამანჩელი იდალგოს მსგავსად, თავისი იდეის გასახორციელებლად მოგზაურობს, ეძებს სამართლიანობას, სიკეთეს, თავისუფლებასა და სიყვარულს, განიცდის მეტამორფოზას, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საბოლოოდ ბოროტება მარცხდება და ისე უბრუნდება საწყის მდგომარეობას ისევე, როგორც დონ კიხოტი.

§5. ლიტერატურა და მკითხველები. ორი ბიბლიოთეკა, ორი მკითხველი

მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში დონკიხოტური რემინისცენციების მაგალითების მოძიებისას, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რომ პერსონაჟთა ქმედებებს, ზოგჯერ ლიტერატურული ნაწარმოებების აღქმა, მისგან გამოწვეული განცდები და გათავისებული დადებითი თუ უარყოფითი ემოციები განაპირობებს. ნაშრომში წარმოდგენილი ქართველი მწერლების ნაწარმოებების

გმირებისათვის მხატვრული ლიტერატურის კითხვა სტიმულის მომცემია. სერვანტესის პერსონაჟ დონ კიხოტს მოგზაურობის სურვილი, პირველ რიგში, ლიტერატურამ კითხვამ გაუღვია. ვფიქრობთ, ამ მარადიულ პერსონაჟს ყველაზე მეტად გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, 1973) მოქმედი გმირი, ვასიკო კეჭერაძე, ემსგავსება. ორი მკითხველის ბიბლიოთეკიდან ერთი-ლამანჩელი იდალგოსი, რეალურია. რაინდი იწყებს ოცნებებსა და ასევე რეალურ მოგზაურობებს, მეორე-ვასიკო კეჭერაძისა, წარმოსახვითი „კარცერი-ლუქსია.“ ის ოცნებებში მოგზაურობს. ორივეს კეთილშობილური მიზანი ამოძრავებს.

ამერიკელი თეორეტიკოსები ოსტინ უორენი (1899-1986) და რენე უელეკი (1903-1995) კითხვაში კრიტიკულ გაგებასა და შემეცნებას გულისხმობენ: კითხვის ხელოვნება მაინც შეიძლება იდეალს წარმოადგენდეს იმ ადამიანისათვის, რომელსაც სურს თავისი უნარების განვითარება („ლიტერატურის თეორია“-1946).

ჩვენ მიერ დაკვირვების ობიექტად შერჩეული ნაწარმოებების მოქმედი გმირების (სერვანტესი - დონ კიხოტი, გურამ დოჩანაშვილი- ვასიკო კეჭერაძე, კლიმი, შალვა, ჯემალ ქარჩხაძე- გუცა-მარიანა, გიორგი ლეონიძე- ჩორეხი) მხატვრული ლიტერატურის კითხვის გზით განავითარებენ უნარებს, მაგრამ კრიტიკული გაგებითა და შემეცნებით გამორჩეულნი არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ ვასიკო კეჭერაძის თქმით, კითხვა „გააზრებაცაა“ და ადამიანთა აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. კითხვა თითოეულს პოზიტიურად განაწყობს, მაგრამ მათი იდეალები საოცნებო ზღაპრული კომპეების კედლებს არ სცილდება. მოცემულ პარაგრაფში პარალელებისთვის გამოყენებულია ნაწარმოებები: გურამ დოჩანაშვილის „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიშა და მთავარი-1969; „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეჭერაძე“-1978; ხორხე ბორხესის „ბაბილონის ბიბლიოთეკა“-1941; უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“-1980; მოცემულია ცნობილ ადამიანთა, მწერალთა (ტორო ჰენრი დევიდ-1817-1862; გუსტავ ფლობერი-1821-1880; ემილ ზოლა-1840-1902; ჰერმან ჰესე-1877-1962; როჟე მარტენ დიუ გარი-1881-1958; ანდრე მორუა-1885-1967; ოთარ ჩხეიძე-1920-2007; ხორხე მარიო ვარგას ლიოსა-1936; ჟან მარი ლე კლეზიო-1940) და მკვლევართა (ოსტინ უორენი, რენე უელეკი) მოსაზრებები კითხვასა და ლიტერატურაზე.

§6. სიქველისა და სიკეთის ხვედრი რევაზ მიშველაძის პროზაში („დიოგენი“, „ვინ დამეძებს“, „61-11-25“, „უფასო პანსიონატი“, „ქველი“)

შედარებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა რევაზ მიშველაძის ზოგიერთი ნოველიდან („დიოგენი“, „ვინ დამეძებს“, „61-11-25“, „უფასო პანსიონატი“, „ქველი“) ამოგვეკრიბა დონკიხოტური რემინისცენციების, მსგავსი, პირდაპირი დამთხვევების მაგალითები. ქართველი მწერლის ზემოდასახელებული ნაწარმოებების პერსონაჟების (გოგიტა ჩიტაია, კაკო რატიანი, გელა, მზია სულხანიშვილი, გიგა ხაჩიძე), სამოქმედო არეალი 1980-1996 წლებია. ქართული საზოგადოების ცხოვრებაში ეს პერიოდი, განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისი, რთული და კრიზისული იყო, ბევრი ადამიანის ოცნება და მცდელობა არსებული სიტუაციის შეცვლისა, დონკიხოტიზმს დაემსგავსა. რევაზ მიშველაძის ზემოდასახელებული ნაწარმოებების მოქმედი გმირები მიამიტი, უცნაური, კეთილშობილი, ქველი და თანამგრძობელი პიროვნებების რეალისტური, მხატვრული სახეები არიან. სერვანტესის დონ კიხოტს ისინი ძირითადად, ერთასპექტიანი მსგავსებებით დავუკავშირეთ. ეს შეეხება ლიტერატურული გმირებისთვის დამახასიათებელ ქმედებებს, კონკრეტულად იმას, რომ სიკეთესა და სიქველეს შესადარებელი ობიექტების ყველა წარმომადგენლისთვის, მხოლოდ სევდა მოაქვს და თითოეულის კეთილშობილური ოცნება, შეცვალოს საზოგადოებრივი ცხოვრება უკეთესისკენ, განუხორციელებელია. გოგიტა ჩიტაია („დიოგენი“,1980) „დიოგენი“, ის სპეციალურად ქმნის სიტუაციებს კარგი კაცის გამოსავლენად. სათაურიცა და პერსონაჟის ქმედებაც, ასოციაციურად გვაგონებს ბერძენი ფილოსოფოსის, ქალაქში სანთლით მოარული დიოგენი სინოპელის (ძვ.წ 412-ძვ.წ. 323) დევიზს: „ვეძებ ადამიანს“. კაკო რატიანმა („ვინ დამეძებს“,1981), სოფელ დიდმიწაში ხალხი დაარწმუნა, რომ გეოლოგიური პარტიის უფროსია, მათ სოფელში შესრულებული სამუშაოების საფასურს დაჰპირდა, შეცვალეს ბოძები, გაარემონტეს გზები, ააშენეს აბანო და ხელფასის გაცემის დრო რომ დადგა, გაქრა. გელა („61-11-25“,1983) გადაჭარბებული ყურადღების გამოჩენით თავს აბეზრებს უცნობ ავადმყოფ ქალს, რომელმაც ერთხელ დარეკა მის ოჯახში და დახმარება ითხოვა. ის ყოველდღე ხან შინიდან, ხან სამსახურიდან ეხმიანება მას, ამხნევეს, ესაუბრება. გიგა ხაჩიძე („ქველი“,1983) წვალებით ნაგროვებ თანხას ერმინე სახამბერიძის ხელმოკლე ოჯახს საჩუქრად გადასცემს, მაგრამ ეჭვითა და ირონიით სავსე ადამიანები არ ასვენებენ. მზია სულხანიშვილი („უფასო პანსიონატი“), ცდილობს, მოსწავლეები უფასოდ ამეცადინოს, მაგრამ თანამგრძობელებს ვერ პოულობს. რევაზ მიშველაძის ნაწარმოებებში ერთასპექტიანი რემინისცენციების მაგალითებია გამოვლენილი. მწერლის ზემოდასახელებულ ნაწარმოებების პერსონაჟებს აერთიანებთ სიკეთე და სიქველე, რომლის გამოვლენის ფორმებიც იმ კონკრეტული ეპოქის

პირობებში, როდესაც ეს ნოველები იწერებოდა, დონკიხოტიზმია. როგორც ცნობილია, შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი შეიძლება გამოვიყენოთ ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე (ნ. გაფრინდაშვილი, 2012). კვლევამ გვიჩვენა, რომ აქ ძირითადად თემატურ ანალოგიებს (სიკეთე, სიქველე) ვხვდებით. ესპანელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის, ხოსე ორტეგა-ი-გასეტის (1883-1995) თქმით, („მასების ამბოხი“, 1930), კეთილშობილი კაცი ცდილობს, ამაღლდეს თავის „მეზე“ და პიროვნული არსებობის ფარგლებს გასცდეს. ამგვარი მცდელობა რევაზ მიშველაძის პერსონაჟებისათვის კრახით მთავრდება. შედარებითი ანალიზისას დავეყრდენით თეორეტიკოსთა: ნ. გაფრინდაშვილის, მ. მირესაშვილის მსჯელობებს, მკვლევარ ლ. სორდიას ნაშრომებს, მეცნიერ ლ. მირცხულავას მოსაზრებას. პარალელებისათვის გამოვიყენეთ ცნობილ ადამიანთა გამონათქვამები. დავასკვნით, რომ რევაზ მიშველაძისა და სერვანტესის პერსონაჟებს შორის. ტიპოლოგიური მსგავსება-განსხვავებებია, მათ აერთიანებთ სიკეთისათვის ბრძოლა და ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითები უნებლიე რემინისცენციებს წარმოადგენენ.

§7. დონ კიხოტი და გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანი“

მოცემულ ქვეთავში განხილულია, თუ როგორ ვლინდება დონკიხოტიზმი გოდერძი ჩოხელის პუბლიცისტურ-ალეგორიულ რომანში „სულეთის კიდობანი“, რომელშიც მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის ამბებია ნაჩვენები. ხსენებული ნაწარმოებში, კვლევამ ცხადყო, რომ მთავარი მოქმედი გმირი, წუთისოფლით უკმაყოფილო სება, ტიპოლოგიურად დონ კიხოტს ჰგავს. როგორც ვიცით, ტიპოლოგიის მეთოდი განზოგადებული მოდელების, ზოგადი და განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით ლიტერატურული მოვლენების დალაგებას გულისხმობს. მოცემულ პარაგრაფშიც მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე. დონ კიხოტი ტრადიციული ლიტერატურული მარადიული სახეა, რომელიც მრავალი ქვეყნის მწერლობაში შეიძლება ფუნქციონირებდეს სხვადასხვა სახით, მაგრამ, ასევე სხვადასხვა დროსა და სივრცეში, როგორც განზოგადებული მოდელი. ნაშრომში წარმოდგენილია მკვლევართა, ლიტერატორთა (ლ. სორდია, თ. წოწორია, ნ. ვახანია, მ. ცქიფურიშვილი) მოსაზრებები, მწერლის ტრადიციული, რეალისტური, ეროვნული იდეებით ნასაზრდოები მწერლური შტრიხების შესახებ, ლიტერატურულ პარალელებად გამოყენებულია მწერლის მოთხრობები: „მგელი“ და „ბედისწერის თეატრი“. გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“, დონ კიხოტთან

მიმართებით, ვხვდებით ერთასპექტიან, უნებლიე რემინისცენციების მაგალითებს. ორივე ნაწარმოების პერსონაჟს ოცნება აერთიანებს. შუღლიანთ სებას სურს, წარსული შეუნარჩუნოს სოფელს, აგროვებს ეროვნულ ექსპონატებს და აარსებს გუდამაყრის მუზეუმს, რომელიც ნაწარმოებში ეროვნული სახელმწიფოს სიმბოლოა. მისი ჰუმანური, კეთილშობილური ოცნება და მცდელობა, გადაარჩინოს წარსულის კულტურული ფასეულობები, დონკიხოტიზმია. ორივე პერსონაჟის ქმედებებს გარკვეული ისტორიული ვითარება განაპირობებს. ლამანჩელი იდალგოც ოცნებობს, აღადგინოს გარდასული დრო. მასაც ისევე, როგორც გოდერძი ჩოხელის პერსონაჟს, (თავისივე პატარა შვილი) ერთადერთი თანამგრძობელი (სანჩო პანსა) ჰყავს, ხალხი მათ დამცინავად შეცქერის, ორივეს ოცნებები ემსხვრევა. სება, ალბათ, გოდერძი ჩოხელის ალტერ-ეგოა ისევე, როგორც, სავარაუდოდ, ზოგიერთი მკვლევრის, სწავლულის, მოსაზრებით სერვანტესი გახლავთ დონ კიხოტის პროტოტიპი. ორივე მწერალი რეალისტია და პერსონაჟთა ხატვის ხერხებითაც, ჩვენს შემთხვევაში, ზემოდასახელებულ ნაწარმოებებში მოძიებული მაგალითების მიხედვით, ემსგავსება ერთმანეთს. გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“ სერვანტესის გავლენა იგრძნობა, აქ ვხვდებით უნებლიე რემინისცენციების მაგალითების გამოყენების შემთხვევებს.

§8. მიუღებელი რეალობიდან ვირტუალურ სამყაროში გაქცევა.

ირაკლი ლომოურის „შემთხვევა“

თანამედროვე ქართველი პროზაიკოსის ირაკლი ლომოურის შემოქმედება ეპიკურ, დრამატულ და საბავშვო ჟანრს ემსახურება, მის თხზულებებში მთავარია რეალიზმი მოდერნიზმის ხერხებით. მიიჩნევენ, რომ თემატიკა აბსურდულ მისტიფიკაციებს წარმოადგენს, ცხოვრებისეული აბსურდების მიხედვით.

მწერლის პირველი, ფანტასტიკურ-სიმბოლური მოთხრობა „შემთხვევა“ (1981), საბჭოური იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული პროტესტია, იმდროინდელ საქართველოში ხელოვნებას რეალური სივრცე არ ჰქონდა სამოქმედოდ, განსხვავებული, ორიგინალური შეხედულებები მიუღებელი იყო. ნაწარმოებში ასახული სიტუაცია, მეტაფორულ-სიმბოლურად (შეიძლება გროტესკულადაც) გადმოცემული ირეალური ამბავია, რომელიც ხდება მომავალში, 1982 წელს. იგი თბილისის მეტროპოლიტენში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაქანთან, წერეთლის მოედნიდან აქლემების გამოჩენას უკავშირდება. უჩვეულო სანახაობით განცვიფრებული ოცი მონაწილიდან ერთი, ირინა

დვალშივილი, რჩება ბაქანზე, მეოცე, ოცი-ოცდაორი წლის ახალგაზრდა მამაკაცი, ქარავანთან ერთად ქრება, დანარჩენები სხვადასხვაგვარად, გაუაზრებლად მოქმედებენ. მწერალი ირაკლი ლომოური ნაწარმოების მეოცე მონაწილედ, მის ალტერ-ეგოდ მოიაზრება. ის ი. მჭედლიძესთან ინტერვიუში („აქლემების ქარავანს გაყოლილი ახალგაზრდა მწერლის ვნებები“) განმარტავს, რომ ესაა მოთხრობა აუტანელი რეალობიდან გაქცევაზე. საბჭოთა სინამდვილეში მყოფი მოთხრობის პერსონაჟი მისტიკურ ქარავანს მიჰყვება და ქრება, მას არ სურს ამ რეალობაში ყოფნა, ის აწმყოდან ოცნებაში, მომავალში, გადასახლდა და ლიტერატურის მეშვეობით ამცნობს საზოგადოებას სიმართლეს. როგორც უკვე შევნიშნეთ, არსებობს მოსაზრებები, რომ მიგელ დე სერვანტეს საავედრა თავისივე პერსონაჟის, დონ კიხოტის პროტოტიპია (ხორხე ლუის ბორხესი-1899-1986, მიგელ დე უნამუნო-(1864-1936), ჟერარ ჟენეტი-(1930), რუსი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ვ. ბაგნო წიგნში: „Дорогами Дон Кихота-1988“, გვიზიარებს მკვლევართა: ე. შალის (1827-1873), პ. როხასის, ლ. ასტრანა მარინოს (1889-1960) ცნობებს რომან „დონ კიხოტე“, მათი შეხედულებით, ის ავტობიოგრაფიულია. ცნობილია, რომ დასახელებული ნაწარმოები შეიქმნა, როგორც იმდროინდელი არაფრისმთქმელი ლიტერატურის, სარაინდო რომანების პაროდია, რომელიც სინამდვილის ასახვაში უბადრუკი იყო, თვითონ მწერალს კი, სავარაუდოდ, სურდა პერსონაჟის მანტიაში გახვეული, გაუჩინარებულყოფი ლიტერატურაში და მისი მეშვეობით გამოეხატა პროტესტი იმდროინდელი რეალობისადმი. ორივე მწერალი გვამცნობს, რომ კითხვა, არის ერთადერთი გზა საზოგადოების ინფორმირებისათვის. მკვლევარ ნინო გოგიაშვილის თქმით („გზის სემიოტიკა ქართული მასალების მიხედვით“), ლიტერატურულ ტექსტებში ნაჩვენები გზები ცხოვრების, მიმართულების, ბედის მაჩვენებელია, იგივე შეიძლება ვთქვათ ევროპულ და მსოფლიო ლიტერატურაზე, ოდისევსისა და დონ კიხოტის გზებზე. როგორც უკვე იყო ნახსენები, სერვანტესის რომანი პროტესტია ესპანეთის XVI საუკუნის ყოველდღიურობისა, ირაკლი ლომოურის სიმბოლურ-მეტაფორული მხატვრული სახეებით გადმოცემული „შემთხვევა“-საქართველოს საბჭოთა სინამდვილისა. ორივე მწერალი აპროტესტებს რეალობას, გაურბის მას და ოცნებობს უკეთეს მომავალზე.

მოცემულ პარაგრაფში გამოყენებულია მკვლევართა, ლიტერატორთა, ჟურნალისტთა: ნ. ჩხიკვიშვილის, ი. მჭედლიძის, ლ. ჩხარტიშვილის, გ. კენჭოშვილის, ო. ჩხეიძის, მ. მამარდაშვილის, ნ. გოგიაშვილის, მ. ტურავას, ლ. ჯიყაშვილის, ბ. ჩეკურიშვილის, ნ. გაფრინდაშვილის, ნ. აგიაშვილის მოსაზრებები. ირაკლი ლომოურის

მოთხრობაში შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდის საშუალებით, დაძეგნილია დონკიხოტური უნებლიე რემინისცენციის მაგალითი, ძირითადად შედარება ამ შემთხვევაში ერთასპექტიანია, ზემოდასახელებული ნაწარმოებების ავტორები მიუღებელი რეალობიდან ვირტუალურ სამყაროში, ლიტერატურაში უჩინარდებიან და ოცნებობენ უკეთეს მომავალზე.

დასკვნა

დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მსოფლიო მწერლობის შედეგები ეროვნული ლიტერატურების განვითარების სტიმულს წარმოადგენენ. სერვანტესის „დონ კიხოტის“ პოპულარობამ ხელი შეუწყო ლამანჩელი იდალგოს მსგავსი პერსონაჟების არსებობას მსოფლიო და XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, რომლის არაერთ ნაწარმოებში ვხვდებით დონკიხოტური რემინისცენციების მაგალითებს, რომელიც განაპირობა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ და მსოფლიო კულტურულ სივრცესთან ზიარების სურვილმა.

ქართველ მწერალთა მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში დონკიხოტური, უნებლიე რემინისცენციების მაგალითები გვაქვს: გ. ლეონიძის („ჩორები“; „ბუნბულა“; „ნიშარძეულის წყალი“), ჯ. ქარჩხაძის („მარიანა“), გ. დოჩანაშვილის („მხიარული ბორცვი“, „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“), რ. მიშველამის („დიოგენი“; „ვინ დამეძებს“; „61-11-25“; „უფასო პანსიონატი“; „ქველი“), გ. ჩოხელის („სულეთის კიდობანი“) შემოქმედებაში, ხოლო კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „გაუმარჯოს დონ კიხოტს“ და გ. დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ზოგიერთ ჭრილში დონკიხოტური, მიზანმიმართული რემინისცენციის მაგალითებს შეიცავენ, ზემოთ ჩამოთვლილ ტექსტებში არ გვხვდება ციტირებები სერვანტესის რომანიდან, არ მეორდება „დონ კიხოტის“ მხატვრული კონსტრუქციები. რემინისცენციები, უფრო, ქართველ მწერალთა ქვეცნობიერი აზროვნების მიერ აღბეჭდილი ნაკვალევია.

„დონ კიხოტი“ ესპანეთის XVI საუკუნის რეალისტული სურათების ამსახველია. XX საუკუნის ქართულ მწერლობაში რომანის მთავარი გმირის არქეტიპით ინსპირირებულ სახეთა არსებობა ამავე ეპოქის სულისკვეთების გამომხატველია.

თუკი სერვანტესმა თავისი დროის მწერლობის უბადრუკობის ჩვენება განიზრახა, ქართულმა მწერლობამაც, იდეოლოგიური ძალადობით დათრგუნულმა, თავისი ეროვნულობის, თავისუფლებისა და ღირსების შენარჩუნება დონ კიხოტის არქეტიპებს შეფარებულმა შეძლო.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ

პუბლიკაციებში:

1. დონკიხოტის არქეტიპი გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (ორი ბიბლიოთეკა, ორი მკითხველი... პარალელები) - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, III, „ინოვაცია“, თბ., 2012წ., გვ. 100-107.*
2. დონკიხოტური სიკეთე და ოცნება - გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟების იდეალი („მხიარული ბორცვი“) - *საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N20, „უნივერსალი“, თბ., 2013წ., გვ. 130-132.*
3. დონკიხოტური სიკეთე და ოცნება - გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟების იდეალი („ვატერ(პო)ლოო“) - *საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N21, „უნივერსალი“, თბ., 2013წ., გვ. 120-124.*
4. Донкихотизм и „Ковчег душ“ Годердзи Чохели - *Сборник научных докладов научно-практической конференции, том N1, Катовице (Польша), 2013, стр.128-130.*
Эл. ресурс: [ჰტტპ://конференция.гом.უა](http://конференция.гом.უა)
5. Арцვეტყპალ მოდელ რეფლექტიონ ოფ დონ ღუიკჰოტე ინ გეორგიან ლიტერატურე ოფ ტწენტის ჩენტურე („ნელლო დონ ღუიკჰოტე“ ბე კონსტანტინე ლორტკიპანიდზე) - *Сборник научных докладов научно-практической конференции, том N5, Быдгощ (Польша), 2014, стр 33-35.* Эл. ресурс: [ჰტტპ://конференция.гом.უა](http://конференция.гом.უა)